ხმელი წიფელი რომ ხველი წიფელი იყო, იმანაც კი დატოვა სახელი — ვაგას მოქონდა და დანერა, ფრინველები სხდებოდნენ ზედი. კაცი რომ ხარ და სახელს ვერ ტოვებ, აი, ეგ არის სიყვდილი, აი! სმზუნოს უქმად სიარული არ შეიძლება!

უგულად ნაკეთები იარაფერი მინდა, ბოლომდე უნდა შევენირო საქმეს.

**მნაღია, დაგხარჯო წმინდად შენ,
ჩემო სიცოცხლეც ერთო,
სიმაბრთლე, სიკეთე ვთესო,
პატარა კელაპტრად ვენთო.
ამიჯეს მეც სულის ალატი,
სინმინდე მარგუნე, ღმერთო!**

ჩემი სამხილადიდან ვხედავ, ღმერთო რომ არ მიცავდეს და ჩემი ანგელოზი არ მფარველობდეს, შეიძლება ამ სამზუნოში აღარ ვყოფილიყავი: სანადიროში სიარული, მტერ-მოყვრობა, ხან ის, ხან ის... დაქუთებისკენ, ზეადტანითი ბიძაშვილის, ალუდას საძებნელად რომ ვიყავი, ძლივს გადავტარი. უფლის მუნენდა რომ არა, მე ცოცხალი არ ვიქნებოდი. მადლიერი ვარ და ბედნიერი, რომ უფალმა მომიცა სიცოცხლის ეს სიცოცხლე კი ისევე უფლისა და ქრისტიანობისთვის მქონდეს დასახარჯე.

2003 წელს არდოტის ლეიონისშობლის, მარიამის სახელობის ეკლესიაში მართლმადიდებლობა მივიდე, ქრისტიანულად ვეზიარე ლეივის ნათულს¹. ძალიან უნაძლეუთ და რდიუთ ვიხსენებ იმ დღეებს, ქრისტიანულ ჯერისნერას ტაძარში, რომ-



ლიც თამარ მეფემ ააშენა. იმ ეკლესიაში 1918 წლამდე იყო ნორვა-ლოცვა. ხან წყდებოდა, ხან იყო... თამარ მეფეს ვაერად ჰქონდა, რომ ფოთელი და ქისტები, ძურძუკნი, საქართველოს მტრები იყვნენ, საქრისტიანის ვერ მოგებრუნებო...

ხევისკრი კაცი ყოველთვის იყო ქრისტიანი... ვინც ფიქრობდა საქართველოზე, ვინც დარბობდა მამულ-წყალზე, მწერლობაზე, თავის ქართულ ენაზე, პირველ რიგში, თავის სარწმუნოებაზე... ღმერთმა დალოცოს ყველა ის ჭეშმარიტი ქართველი, ვინც საქართველოს კუთხე-კუნძულებში ქრისტიანობას აერცვლებს.

გული მწყდება, რომ საქართველოში ბევრი კუთხე დამარჩა სანახავი. საინგილოში, კახში ჩახსულვარ — ქურმუხის მდინარესთან, უმბასთანაც მივსულვარ, სადღაც მყინვართან მივახლოვდი... მე ერთ რამეს ვთხოვ: იმ ჭვენი წინაპრების ნაგალ, ნაშუსლარ, ნაოღლარ ადგილებს ნუ დავკარგავთ!

ბედი მოინია, რომ გადავეყარეთ ამ გზაზე ერთმანეთს — იმედისთვის, ნუგემისთვის.

P.S. უკან მიბრუნდა ცოფა არ არისო, — უთქვამთ. ნურც ჩემს რესპინდენტს დასაძრბავთ... რა იღონოს, თუკი წარსული ანმყოსავით ემშობლიურება, თუკი სახელიანი წინაპრები იქ იპაყება და მშობლებიც იქვე ენატრება; თუკი ტალავარ-ყალიფინიანი ხევისურები მხოლოდ მისი ბაღლომისას ამბობდნენ ვაჯკობისას და ერთურთის დანდობისას¹, თუკი მხოლოდ წინაპრები² ამშვერბდნენ მტრის მარჯვენა თვრდეებით დახუნძილულ ქვეციხეში მის მშობლიურ არღოტს³.

როგორ ადრინკის ერთადერთმა მოხარემ ხევისურეთის შირი მინას მისი ხელი მიზარებელი უსუცესები, შევპობრები თუ ვეარ-ჯიმისანი, საზარდადამო მოხსენიების მომლოდინე ვართ „მოწინავე სულენი“?⁴

ვერ იქმს... ამ საშვიოს ის ჭვენყერა არ გაუქნია უფლს — მისი საშური სხვაგან არის და სრულიად სხვაგვარია. ძნელი მამულ-წყლის პატრონად გრწმობდე თავს და გული გიმღერდეს, აკი თვითონაც ვაგრობს: „ხევისური კაცის სიცოცხლე ქრისტე უფალმაც ვერ გაათენაო.“ ამიტომაც არის მისი პოეზია „სისხლის წვიმები და ანათემა...“ როგორ შეგვფოს სოფლის — ერთ დროს ტყეების ფორმოსტის გაუკაცრიელებას, ოჯახის ჩამოზარებას, წლების მანძილზე ვუტადე, გაულდაგულ გაღვებებული კერის მინალებას, ფუძის ანელოზის დამწურებას?⁵

არც უფროა ამგვარ რეალობასთან დახვეება... მთას შეწირული კაცის გონება სხვაგვარად სვრის და ჩარბავს: ახლი იგი (არა მხოლოდ საცხოვრისით) ოფიციალური სტატუსითაც მესაზღვრავ. საფიხეებზე განაფულ მის თვალს არავინ გამოეპარება — წინაპართ ნაქონი სისხლითა და ბლლოთი დაატყობს ცუდას — მტრობას, მოყვარეს — მაცეთობას... გამოიტყვებით, მეც ხევისურეთის ზანაწერილაზე, ცა-მინის საყარზე შეიმედება და მეამაყება არღოტის მითად ამოვარდნილი⁶ ეს გულანთებული, მარადიული საფიქრალი „ნასულწუხარი“ დავლათიანი მთიელი — მტრისად შეუწინაღვი ვაჭას ზვიადთურით რომ შეპბლავის მშობლიურ ხევე-ყურეს: „ბოლნთ არ შევეკერი ზავითაო...“

„მთის ეემაგზე“, მურღვა არღოტელზე მინდოდა ცკოდ-წოდა... და თვითონვე ვეამბობინე, ახალუხლებმა კარგად რომ უწყყდნენ ჩვენ დროთა გმირი და „მიღმახევის პოეტების მეფე“⁷

1. ვემაგი — ყარაული; მტრის მოსასვლელი გზის მცველი.
2. ანანათი — სხვა თემიდან მოსული უცხო, თემს შეეკლდე-ბული.
3. ხოს გამასახული — ლეთის გარეწილი.
4. გულის საგონი — სადარდელი, საფიქრალი.
5. სიბული — საკითხავი კაცი, რჩეული, რჯულის კაცი.
6. ზტეოთა თავი — სასამართლო, სადაც ზტობენ. ამის უფროსიც ყოფილა, ე.ა. გამოჩეული კაცი.
7. მამიშვილობა ანუ მამანი — ჩვენ ამას გვაროდან განმტოლებს ვედაბით. ერთი გვარიდან განმტოებული ახლობლობა, ქვეყარო, აი, მაგალითად, თუ ღმერთმა ენას გაგრძელებდა ჩემი შვილ-პოლო, იტყვიან, რომ ისინი არიან ნიკონი. შევიდა თათბის მერე ესენი უკვე სისხლით მორდებინა, კაცის თავი ადარ ედებო. ათინის მესამოს⁸ ვედაბით, როცა მტერ-მესისხლებმა ხევაა, იქ კი უკვე წელდება ის სიმძიმე, მტერი მერ იმედინად პასუხს ევარ მოგთხვას.
8. უმედბოლო — უძეო, უშთამომავლო.
9. ზურბა ვაფარნიც — პოეტი, პოეტური ორენე, მარადახალი წარსის⁹ დამაწარმელი და ხელმძღვანელი, გამოცემლობა „ამირანტების“ დამფუძნებელი, მრავალი პოეტური კრებულის რედაქტორ-გამომცემელი. მურღვა არღოტელის უნაღოესი შეკობარი, ხევისურეთის ქობა. 1995 წლის 10 ნოემბერს, 30 წლის ტრავიკულად დაიღობა ხევისურეთში, სოფელ ხახხატთან.

10. ნოდარ არღოტელი — ენათმეცნიერი, ფილოლოგის მეცნიერებათა დოქტორი, პოეტი, ხალხური სიტყვიერების შემკრები.

11. 2003 წლის 30 აგვისტოს — საქართველოში ისტორიული მოვლენა მოხდა. ფშავ-ხევისურეთის იმგამინდელმა ეპისკოპოსმა, მუჟე იგუდელმა, სოფელ არღოტში, მიმდინებელთა საყოველთაო ქრისტიანული ნაღობსა აღასრულა მდინარე ბლღოში (მაიტის წყალში) არღოტის ლეთისმშობლის ეკლესიაში კი მიწვეული ზარება მიიღეს და ვეარო დაინერეს პირიქითა ხევისურეთის სოფლებს: მტეოს, არღოტის, ხახხატის და ანაქის მცხოვრებლებმა. ვერინბარის დროს ზოგიერთს 3-4 შვილიც კი უყავდა. სხილველს თბილისიდანაც უამრავი სტუმარი ესწრებოდა. ამ საზვიოს დღეს მიედი ხეობისა და ჩამოსულითა მასპინძელი მურღვა არღოტლის ოჯახი იყო. სადღესასწაული სუფრის გამძღოლი კი — მატეოსის მკვიდრი, მთქმელი, მომღერალი, ხევისურეთის მუისტიორი, ხალხური სიტყვიერების მკვლევარი, მეცნიერი და პედაგოგი მიხლე ჭინჭარაული (ლექთა მისა). სწორედ ამ დათქმულ გულსმობას თბილისისა მურღვა არღოტელი.

12. ანდაგამი — ძველი დრო.

13. არღოტის ციხეს, თურქულ, 40-იან წლებამდე ეკავა მელე-ჯო გორგი ზვიადურის მიერ საურჯულოედან მოტანილი 16 ქანტის ბეჭდინი ხელი.



სოფელი არღოტი



ემზარ კვიციანი

არსივი და გახალა

ჩემი პირველი ფოტო

22.04.2011. წლების მატებასთან ერთად, სულ უფრო და უფრო მეტად დაუბრუნდები სურვილს, კედლი ვნებდე, ნამცეც-ნამცეც ადვოკატი და გატაცებული ის, რამაც დიდი ხნის წინ ჩაიჭრა, უდაბნოს ყვირილი ხილსასეთი დატრიალებულ დროის მორეცხი სამუდამოდ გაუჩინარდა.

პატარა შემთხვევაც თუ მომეცა ამისა, ზედიდან არ ვუშვებ, ვცდილობ, ფერგადასულ, მტკვრნაყრილ დღეებსა და ფანჯრის მიწაში გატყვევებულ ღამეებს როგორმე პირვანდელი იერი დაუბრუნო, მაგრამ ისიც მასსოვს, რაოდენ ძნელი მისაღწევია ასეთი მიზანი და გასმორბეული უძილობისგან ანწინა წერვებს იმითა ვიმშვიდებ, რომ უკეთესი ვერაფერი მოვისწავნებ.

ახლა კი საქმეზე უნდა გადავიდეთ, თუკი შეიძლება საქმე უნორის იმგვარ ჩხარკედლობას, მე რომ დამწმენდა. იმასაც მიხედვრლი ვარ

— წელის ნაყვას მიახლოებული ჩემიველი გარჯის თავი და თავი მიზეზი ძველი დროის (მეცამეტე საუკუნე) ერთი საუკეთესო იაპონელი პოეტისა და ესეისტის დაკვირვებისა არ იყოს, მონყენილობაა, უფრონა, გულმოკლულს, ხალხსდაკარგულს, სიბერის ჭამს ერთობ ხშირად რომ მეუფლებდა. შემოიწონა ახირებათა შორის, ეს ყველაზე უწყინარი გახლავთ, რადგან მისით ბოთლის არაფერი შავდება.

ჩემმა კეთილზე კეთილმა ბიძაშემოდა, დედაბაბუს მისწულმა გულიკო იწაბემ (მას უყვარს ძველი სურათებისა და ფერტილის სათუთად შენახვა) ამ გაზაფხულზე გადმომცა ნოტიო, სადღე მამამისს, ვანი იწაბეს, ჩემს ბიძას, მთლად ჩელი (ეს აღბათ ჩემი პირველი ფოტოა), გულზე ვყავარ მიხუტებული. შუადღის ძილი მოთავებული უნდა მჭონდეს. ბიძაშემი თითონაც ახალი ნამომდგარი ჩანს სანილიად. თეთრო, მოღვლილი პერანგი და ასეთივე თეთრი ტრუსები აცვია. მეც პერანგისაზარა ვეგავარ (მიკვირს როგორ არ მისრიალდებოდა მოცულებული ქუსლები) მის შიშველ, მარცხენა, ბალნიან ფეხზე, რომლის მუხბი მოლურული და მარჯვენა ფეხზეც გადადებულა. არჩინი და ბახალა! — იტყვი, როცა ამ ზომიერად ბუნდოან ფოტოს დახვდები. ახალგაზრდობაშევე გამულტრებული, ჩასუკნილი ბიძაშემი, ჩემ გვერდით, დედაცეს შავეს, სახეზე შეკაეებული, ნაღველმეპარული ღიმილი აღბუტდვია. ისეთი სასოებით ვყავარ ჩაბლუჯუ-



ლი, ამკარად ფიქრობს, უბრალო ვინმე არ გამოვიდოდი, მაგრამ რას ვიზან — მარტო მას ხომ არ გაუფრთხილ იმდელ, სხვა ჩემიანებსაც ვუშტყუმე. ვის შეეძლო მაშინ იმის თქმა — რამდენი აუსრულებელი სურვილი უნდა დამწმენდულიყო ამ ციკენა, თითო სხულში. ვერც იმას იგუშანებდნენ, მოწიფულობაში, რა დამბუგველი ცეცხლი შეერთებოდა (თანაც რამდენჯერ) ჩემს ისედაც მდულარე, ადღევილ ტვინს.

ექვსი თუ შვიდი თვისა (ჩემი გამოთვლით, 1936 წლის გაზაფხულია, ავბედითი, სისხლის ტბების დამყენებული ოცდაჩვიდმეტი წელი ახლოდებია), ცხადია, ფეხზე ვერ დადგებოდი (ქუსლები დამისრიალდებოდა მის მუხლზე) და ბიძაშემს მარცხენა ხელი ჩემს მკერდზე აქვს შემოჭობოლი. მე მარჯვენა ხელი მის მორგევიით კისრზე მოდებს, მარცხენა — ვანბა გამაყრილი (ეს ჩემმა სიპატარავემ და უშნობამ განაპირობა). კინკრინოზე მუცლის თმა, ფაფუკი ღუნული ნამომწლია. თველებში ნაადრევი, ემპაური სხივი მკერდის, გაუბნედავ მელნიშება. ვიწყოფები „აოუს“ თქმის ასაკში, ჯერ სათამაშოებისა და ვამ-ჭურჭლის მტკვრევის პერიოდს არ დამწყებია. ნაპირზე ამოგდებულ თევზივით კი ესხმარტალებ, თუ არ ვამაკავეს. ისე ჩანს, სურათის გადამბლბა თითვეი გაატკაცუნა ანდა მუხბედოიანი სახატუნო აახმანია, რათა ნაშით ჩემი ყურადღება მიექცია, გავეციინებინე, მოუსვენარი, ბუნდოან ამომიჭარი ბარტყივით აფრთხილებული. ამ სურათზე, მართლაც, ასაფურნად გამხსნელებული ჩიტისგან დიდად არ განვსხვავდები.

მოცუცუნელი, ღიმილისგან შეტეხილ სახეზე სრულებით არ მემჩნევა, რომ მთელ ცხოვრებას მიმიდან მონწყებლასა და ფრთების ნატერამი გავატარებდი. მერედა, რას მივალნიე?!.. თუნდაც ამსრულებოდა ეს აკეიაცებული სურვილი, ვერაინ იტყვის, ვიგემბდი თუ არა ბუნდოანობას, რაც, საბოლოოდ, მხოლოდ თავის მოტყუება, მოჩვენებაა.

რას ვიფიქრებდი მაშინ, არადრის მემცნობა, ახალგაზრდასივრცე, ქათმის კვერთხებს მიმიდან მონწყული, გასაქანი არც მერე რომ არ მემცნებოდა; ზედიზედ დატეხილ უმედურებათაგან გაოგნებულს, სუნთქვაგადაკეტვით, სიმწირისაგან, რამდენჯერ უნდა მემცნებოდა კინკრინოზე უფრაც კედელზე ისედაც გარტეხული თავი. ამის გახსენებისა, შემუშებულის, სისხლჩაქცეული მუხბი ახლაც მწერის. თუ არ ვცდები, არანაირი განსაცდელი არ დამაქლებია.

ოთახი, რომლის ერთი კედელი ამ ფოტოზე მოჩანს, ჩვენი ღარიბული ბიძის ნაწილია. აქ ზოგიერთი რამის თქმა დამჭირდება. ჩემს ახალმუღღებულ მშობლებს, ექიმებს, თავსებაფარი რომ შეპირობათ ამისთვის სანაჭებო პროცენება, მიელ ფოთში სახელგანთქმული უნჯარო ქველიშქმელი, ოდესდაც ხე-ტყის ქარხნის მუშატორნი, ნიკო ნიკოლაიშვილისა ძალზე დაახლოებული ადამიანი, ბაბუაშემი აპოლონ იმანაც ვაისარჯა, ვიდრე, განუკითხავი რეპრესიების ქამს, სრულიად უდაბნაშულის, არ დამაბტიმრებდ-



ნენ და გადასახლებული, 1942 წელს, ყარაგანდის ბანაკში გარდაიცვლებოდა.

ბაბუარქმს თავისი ინიცირი ვაჟისათვის საცმად თანა მითუცია და დაჯილდებობა, ვერაზე (ვერსოვიკისა 13, ახლანდელი ახვლედიანის ქუჩა) მდებარე აგურის სასამართლო-ინჟინერის თანეზე, სადაც სამრეცხაო იყო (ალბათ სახლ-მმართველის წინასწარ მოუღებარაკა), ორი ოთახი დაემუ-ნებინა სამზარეულოთი.

ბიძაჩემი ვანო, ლალი, დროსტარების მოყვარული ახალგაზრდა კაცი შესდგომია „პრარაბობას“, მაგრამ იმ სახელდახელოდ მოფიხილი ორი ოთახის მშენებლობისა, ნავარუდებზე გაცილებით მეტი ფული შემოხარჯვია — ხშირად ქვიფობდა თურმე ძმაბიჭებთან და დედაჩემისგან გამიგონია — როცა ასე თუ ისე ყველაფერი დამთავრდა, გადახერხილი სხვენიდან ორი სატვირთი მანქანა ლეონისა და არყის ცარიელი ბოთლები გაეზიდეთ. იმ ბინაში, ათე-ული წლების მანძილზე, რკინის ხეველი, სახანძრო კობით ამოფიხილი, სადარბაზო შემოსასვლელიან არაგეთილი კაშვირი არ გვექნდა. მამაჩემის დაბატონების შემდეგ ჩვენი ვასაცოდებდებოდა, წელში გატეხილი ოჯახი სადაც გადავიდოდა. როდესაც იგი, 1956 წლის ზაფხულში, შორეული გადასახლებიდან დაბრუნდა და, როგორც პედაგოგმა, საქვეყნოდ მოიხვეჭა სახელი, ამოვიხუთეთ. სამოთხიანი ბინა შემოგვთავაზეს, მაგრამ დედაჩემმა არ მოი-სურვა საპურთალოზე გადასვლა. ფასადის დასუბინივებ-ლად, მშენებლობის ნებართვა რომ აგველი, კეთილი, გავ-ლენიანი ხალხი დაგვეხმარა — სხვენი სახავეტროდ ავი-ნი, კორდოროდ და ორი ოთახი შემოგვეხმარა; სადარბაზოს დაბეტონებული ქერიც ამოგვტყეო, ავამბალე; კიბის სა-ფხურებიც დავაგებე (ანამდე ისეც ბიძაჩემი გვერეცდა მე-ურეხობის, კარგი ხელისნები მოგვეყვანა) და, როგორც იქნა, ადამიანურად ამოსვლის საშუალება მოგვცა.

ბიძაჩემს, მწერლობის და წიგნის მოყვარულ ხელგამ-ლოდ კაცს ყოველთვის სხვანაირი მადლიერებითა და სინა-ნულით ვგოვონებ. ხშირად უთქვამს, ჩემს მუღებზე მეტად, როგორც ჩვენი დიდი ოჯახის პირველი შვილიშვილი, შენ მიყვარდი. ეს შეიძლება მთლად ასე არ იყო, მაგრამ ძა-ლიანი შორსაც არ იდგა სიმატობისგან; რითაც შექმლო, მიუდან მანებეტრებდა, განსაკუთრებულ სითბოს და სიყ-ვარულს ამტკავებდა ჩემ მიმართ. ერთ რამდენადმე უკ-როსულ ამბავს მოვიხიბო.

მასობის დედაჩემის მონაყოლი — სადილი უნდა და-მეზნადებინა. მამინ სამი თვისა იქნებოდა და ვანოს ვთხო-ვე, თბილად შეფუთული, პაერზე გაეყვანე. ნახევარი საათ-ის შემდეგ ოთახში რომ შემოვიხედე (მამაჩემი შინ არ იყო) და ჩემი ძმა პაპიროსს ქაჩავდა, დაუფიქრებ: ბაღანა რა უყავი მექეთი! შეტეხუნდა. ორივენი გარტ ვაგვარდით და რის ვეხედე — ვიფქებთ დაფარულ ფუნფულა საბან-ში გამოსვული, იმ ყინვამი, ღია აივნის იატაკზე გაემწივნე. ხმას არ იღებდა, ტუჩების ირგვლივ ქორბლი გჭონდა მო-ფედული, ნესტობიდან ორთქლი ამოგდებოდა. აუღვასეთ-ქილმა შემოგვიფუნე ოთახში, გათოშილი ლოყები დაგიზი-ლიდა, გაათათე. შიშით გკვდებოდა, ფილტვების ანთება არ დაგმართოდა, მაგრამ გადავიარჩინე.

საფიქრებელია, იმ საფათურაკო შემოსხვევის მერე, დე-დაჩემი ღვილდ ძმას ნაკლებად ენდობოდა, მაგრამ გამო-ზაფხულზე, როცა დათბა, ბიძაჩემმა ისეც მომიგდო ხელში

პატარა სახედალი (ეს მისი საყვარელი საალერსო გამოთ-ქმა იყო), თორეხისათვის შემოთამამა, ამბავთთავა; ჩვენი ერთად ყოფნა, სამატკლებოა კიდევაც აღბეჭდა ფორზე და ახლად გავხდი იმ შექერებულ ნაშის მხილველი...

რა უცნაური რამ არის კაცის იღბალი! სასწაულით გა-დარჩენილი სურათის გადაღებიდან ზუსტად ნახებოდა სა-სუკუნეში გაიარა და 1986 წლის ზაფხულის დამსუთველ დღეს, ვაკეში, მეცხრე საავადმყოფოს პალატაში, დიხბეტისგან ლონგმიხილ, განგრენადამართებულ, მომავადვე ბიძაჩემს თავზე ვადექი, ჩემი ჭკუით მიწდოდა მუნუგემუნა — გა-მაგრდი, რა გჭირს, ვანო ბიძა-მეთე, შეუცვლად. იმოდენა ვაკეცა ცქითინი აუვარდა, კიციცი, რაც მჭირს, მუნუი მიღ-ქება, ამას გადავყვებო და იმ ფეხზე მიმანიშნა, ფოტოზე შიშველი, ისეთი ჟანსალი, დაკუნთული რომ უქანას.

ალარ ვიცოდა რა მეთეცა. კულ-მეთე, ნათესავები, მე-გობრები, მისგან ნიადაც განუწყურელი, ძმად შეგულბერი მამაჩემიც არაფერს აკლებდნენ, გაუსლახვარი დეგომარე-ობა რომ შემსხუტებოდა, მაგრამ საშველი არ ჩანდა, ბე-დისგან გაიწინა. ზოგადად ორივენი მშველდოსნები ვი-ყავით; მე — ოცდაშვიდ, ის — ოცდაათ ნოემბერს იყო და-ბადებული, სამი დღე გვაშორებდა ერთმანეთისგან და სწორედ ოცდაათ ნოემბერს, მისი დაბადების დღეს (სკვანი საზარედ ეტეცა, წრე შეკრა) ამ თურთ კაცს ვასაფლავებ-დით. მამაჩემმა კი ჩასძახა სუღარავადაფარებულს, კუბო-ში მოვლს — ვანო, მალე მე შენთან ვინებოდა და ასედაც მოხდა, ერთ წელიწადში მივაქე ვასყვარებელი ცოლისძმისა. ფიქრით, მღელი ჩემი არსებით იმითთან ვარ. დამე არ გავა, ძილბურაში მყოფს, თვალწინ რომ ამ არამდგენ და არ მიველურს ესოდენ ახლობელ, წინდა ამჩინებლს...

ვიყრე კონვერტში ჩავდებდე და მაგადის უჯრაში შე-ვიწახვედ მარცხარული ფოტოგრაფის ნაკლებ ხარისხიან, ფოკუსში არცთუ ხეირიანად ჩასმულ სურათს, გული არ მიზამს, ერთხელაც არ დავებოდე გაკვირვებულმა, სასია-მოვინდე აფორიაქებულმა. გაქრევებულთათვის ლუქის გამყოფი ვეკაცისი, ვანო იმანძის ღონიერი მავის მიღმა ფათეხობს, ფეთქავს ჩემი ნამცეცა გული. ასე წრიალებს მნიფე ზორბლის ყანაში შექებრისგან დაფუტებული მწყე-რი. მარცხენა ყური თვალნათლივდა გამოკვეთილი, მარჯ-ვენა — ჩრდილის მოქცეული. უნებურად ვბრვივებ პანი, ნერვებშიმდგარ ტუჩებს. ამ დროს ალბათ პრინციპისარც-ვლისტლდა კიტი მექრება და დანიშლებული წუნა მევაგება, თმცა გარეგნად არ ვიძინებ. ისეთი ვრანობა მიწინე-ბა — ამ ფრთხლად, ფეხუდამდე ჩვილს ერთი სული აქვს, ცად აჭრის და შიშით დაოქრვილ ლაქვარდებში ტორო-ლასათვი შეიფორნილიოს. ნეტამც ასე მომზადარყო.

სიოიფდ დიით ადრე, როდესაც პირველად დახეხე ამ სურათს, რამდენიმე სტრიქონი ერთბაშად მომეძალა, კი-დეცა დაგასათაურე — „ძველი ფოტო, რომზედაც ერთ წლისაც არა ვარ“ (რა მიზარდა?) და ბარზე აუქვდ და-ვურთავ:

ჩვილობის ღრუბელს ქარი გაავენება,
ქარსვე ვაყვება შენი ჭყლოპინი;
თარზე ნაჭრები შრება საფენოა,
ალბოდ, თითქმისდა იყო ოფინი...
ახარე ნერგი, მზუნახსურები,
ბილიკი ია-ვარდით მოფინე!



ერთ რამეზე კი უნდა გავუნანგყნდე ჩემ თავს — მე ვერ შევიძლი იმის მოფიქრება, რაც, სულ სხვა შემთხვევაში, გენიალური იაპონელი მწერალი ქალის მურასასა კი სიკიბუს (X ს.) ერთმა უბრალო ფრანგმა დახატა: უბნოდა მომიღი-მარი ჩვილის სახე...

მშვითაოდ დედამბედა დედე, ნაღველი რომ არ შემომან-ვეს გულზე. საამისო მიზეზიც მაქვს. რა იქნება, დედე-მამის

დანატოვარ, წიგნებით გამოტენილ ბინაში ერთი ამნიარი ბიჭი მაინც რომ ჭყიოდეს, ჩემი შეილიშვილი, მოგამული გუნება მაინცე გამომიკეთდებოდა; ჩანაცრებულ თვა-ლებში იმედის სხივი ჩამიდგებოდა, ნელმოაც გავიმარბე-ბოდი, ახლა რომ ვარ, იმაზე განუზომლად მეტ ფხას გამო-ვიწეხ. მთლად არ მიმატოვებს, ოდესმე ალაბთ მეც გად-მომხედავს უფლის მონყაელ თვალი.

თეატრალური სიხალხნი

მანანა ტურიაშვილი

გამჭვირვალე და უჩვეულო...

იმეითია მწერალი, რომლის ნო-ველებიც ისეთი თეატრალური ანუ სახიფათო იყოს, როგორც ოთარ ჩხეი-ძეს აქვს. ანშოში დაწერილი ზნა „აქვს“, ჩვენთვის ძვირფასია, რად-გან ამ შემოქმედის ნაღვანი ნარ-სულში არ ითქმის — ოთარ ჩხეიძის ყველა ნაწარმოებ ცოცხალია და არსებობს. შოთავარია წიგნი გაგადა-ლო და დაეწაფეთ ქართულ სიტყ-ვას, მდიდარ ლექსიკას, შხოლოდ მი-სუნდა და განუშორებელ სტილს, გა-ინავარდებთ შმობოლოურ სიერცემში და თითქოსდა ჩვეულ ამაბაში ზო-გადეკაცობრიო პრობლემებსაც შე-ეხებთ, რომელიც ყველა ერში, თუ ქვეყანაში შესაძლოა მომხდარყო.

რეალობაში მწერალი ხედავს იმას, რასაც, ჩვენ ჩვეულებრივი მოყვადენი ვერ ვამჩნევთ, შესაძ-ლოა ვამჩნევთ კიდევ, მაგრამ შე-მოქმედის „პასუხი“ რეალობაზე უფრო მეტი სიმძაფრით სვამს პრობლემას, რომელიც ამგვრად მამაშვილობას ეხება. XX საუკუ-ნის მშ-იანი წლების მეორე ნახევარში, უჩვეულო იუმორით მოწათხრობი ოთარ ჩხეიძის ნოველა „მამაშვილობაში“, მწერლის სიცოცხლეშივე მიხილ ჯეჯახიშვილისა და გრი-გოლ რობაქიძის ნაწარმოებების გვერდით დადგა.

ოთარ ჩხეიძე ნოველაში მამის პირით წერს: „მამაშვი-ლობაში შეჩერებობას რა უნდაო“. შვილი კი ილია ჭავჭავა-ძით უსწორებს: „დედაშვილობაშიო“. მამა პასუხობს „დე-დაშვილობა და მამაშვილობა რას გაუყვიაო“.

ეს პრობლემა ვითარდება, თითქოსდა უბრალო ამბით, მამას შვილი ნამოყზარდა და ღვინის კასრზე მონილედ ჩა-უდგა. აქედან იწყება იუმორით აგორებული მწერლის სიტყ-ვა-პასუხი, რომელიც მონოლოგივით ჩაგენებით. ოთარ ჩხეი-



კოტე შავია (მამა) და ნიკა კვანტალიანი (შვილი)

ძე, ამ შემთხვევაში მამაც არის და შვილიც. მათ კამათში კი ორივე მართალია. მწერალს უყვარს ღვინოზე „მებრძოლი“ ეს ორი პერსონაჟი და „მამაშვილობის შეჩერებობაზე“ პასუხს არ სცემს, რადგან ორივეს თავისი სიძარბოლე აქვს.

რეკოსორმა ოთარ ბალათურამ ამ მოთხრობის მიხედვით მსახიობებთან ერთად პიესა დაწერა, თუმც არ დაუკარგავს არც მწერლის მთავარი სათქმელი, არც ფრანზის ნყზბა და ლექსიკა. „ლიტერატურული თეატრი“ დიდი ხანია მოღვაწეობს, ამო-ტომ შემთხვევითი არ არის, რომ სპექტაკლი „მამაშვილობაში“ სწო-რედ რომ ლიტერატურის მუზეუმის თეატრალურ დარბაზში დაიდგა.

მცირე სცენაზე სოფლის ატ-მოსდეროს ყფითი რეკვიზიტი მიგაჩნებნებთ. ერთი პატარა ლო-ბის წწულთან მოსაუბრე ქალები კი სოფლის ამბებს არჩევენ. მათი საუბარი ქართლურ დიალექტზე იწყება, ხოლო შემდეგ სპექტაკლი მონიანად კახურ დიალექტზე აგებულნი. მსახიობები ნაირა გე-ლაძე და ნათია სამანიშვილი სოფლის ჭორიკენებიდან რძალ-დედაბიოლად გადაიქცევიან. ოთარ ბალათურამ ასე შემოიყვანა ორი გმირი ქალი, რომელიც ნოველაში არაა, და მამა-შვილის კამათს უფ-რო მეტი ქმედითობა შესძინა, რო-გორც სიტყვის, ასევე მსახიობურ ქცევათა მრავალფეროვნების თვალაზრისით. მოქმედ გმირე-ბი სახელმთი არ მიმართავენ ერ-თმანეთს, ასევეა ნოველაშიც. ნარმოდგენაში ოთხი პერსონაჟი:

მამა, შვილი, დედაბიოლი და რძალი.

მამა (კოტე შავია) შეუღს ელოდებს. თოფით შევარადე-ბული მსახიობი კუნძზე აბტება — ის არის, რომ უნდა გაისრო-ლოს და დაფიქრდება „ბიჭია თუ გოგო?“ — გაისროლოს თუ არა? „ბიჭია“, მამაკაცების სისულტე უ. წ. გვარის გამგრძელებ-ბელსა და დამმარბავზე, უთქმელად; ქვეტექსტით... მასურე-ბელს ენიშნება — ეს ხომ ქართული სინამდვილე. ოგმორით, მსუბუქი გაკილვით გვაყიწყდება, რომ „დეკვი ლობისა სწო-რია, ძუ იყოს თუნდა ზეადია“, დაწერილია, ჩაბეჭდილია, მაგ-რამ ვენეტკურ კოდს ერთი გვინოსა ალაბთ ვერ შეცვლის.

შვილი (ნიკა კვანტალიანი) იზრდება, მამა გადაწყვეტს, უნდა დაეაქორნიო... ცოლი (ნაირა გელაძე) დუმლით



ხედება, აყალბავაილის გარეშე. რიბზე სად არ იციან, მაგრამ ქართულ-კახეთის ქალისა და მამაკაცის ურთიერთობობა განსხვავებულია დეკს. ქალი ყოველთვის უსუქვედ მორჩილებას თამაშობს, არ პასუხობს, მხოლოდ გულში თუ ვაიფიქრებს „თავში ქვა გიხლი, გინდა და გააკეთე“. ამ ნიუანსისათვის მსახიობს და რეჟისორს „ჩაეფლავა“ და კახური იუმორის სახით ვლინდება. თერთ კაბაში შემოსილი ტანკენარი და ნითელყოყბა პატარადლი (ნათია სამანიშვილი) ჩემოდნით ხელში შემოდის. დედამთლი უდრტყენვლად ხედება, მშვიდად, ზედმეტი ემოციების გარეშე. ნათია გვლად მშვენიერ სულის აკეთებს. ის ხელს შეივლებს ჩემოდანს, არიქა, ექვანარბო, და მისიერად „ანონის“ — ქვეტუტით „დიდი მზითევი არ მოუტანია“.

საინტერესო ტეტიოდი თამაშდება, როცა დედამთლი რძალს სახლ-კარს ათვალერეზინებს და თან სხვადასხვა ტრნალობაში უშორებს „ახლა ეს შენია“. ნიუანსებზე აწყობილი ეპიზოდით უსიტყვოდ იკეთება ქვეტუტის ახლა შენთვის განმომლოცინა მთელი სახლი — ირმომე და იყავო?, თან ხელში კაბობის საკევე კალასის მიიქრებს. თითქოს არაფერი არ ხდება, მაგრამ მსახიობთა ფილგრანული თამაშით რძალ-დედამთლის პატარა „ომი“ იწყება. იუმორით აღვიქმება საპატარძლო კაბაში ჩაცმული რძლის პირველი სამუშაო — ქათმების ასაჭმელად დაიბების“ სცენა. დედამთლის წყნარ „პრძანებაზე“ თუ როგორ უნდა დაუძაბოს ქათმებს „ძიბა, ძიბა“, რძალი ეჯიუტება „ძიბ, ძიბ“. მხოლოდ ერთი ასო „ა“, რძალ-დედამთლიანის ჭიქილად გათვლიცევა. კვლევ ტრუდი თამაშდება, რომელიც ახალგაზრდა მსახიობის — ნათია სამანიშვილის — ნიჭს ავლენს. ის თავისებურად ეძიბის. მას დედამთლის განვრთნილი ქათმები „ქსუხუხუხ“ და იმდენად აგრესიული არიან, რომ შემხინგული პატარძლი კუნძზე ახტება, ოღონდ არ მიეცნენ, და დედამთლის „პან-გებზე“ გადადის: „ძიბა, ძიბა“. ქათმები დანერდნენ, რძალი უკვე დედამთლს ემორჩილება. ეს აღბათ ნაწ ნუთიანი ეპიზოდი, მაგრამ შეეფიქლია მთელი ისტორია ავტოგრაფიო.

მთუხედავად იმისა, რომ ქალების როლებზე ბევრი რამ შეგვიძლია ვიამბოთ, რეჟისორი ოთარ ბალათურიანი მაინც არ სცდება ოთარ ჩხეიძის ნოველს და ძირითადი თემა მის მიზეზდვით ვითარდება. მსახიობი ქალები რძალ-დედამთლიანას ამბებს ქს ქწინა, მაგრამ ძირითადად „აკაცების“ პერსონაჟების განვითარებას „ეხმარება“. თუმც ავტორის ნოველის ტექსტებსაც დინამიკურად, სადაც საჭიროა, ახმარებდა. ანუ რეჟისორი მწერალსა წარმოაჩენს და თავის ნამუშევარსაც. ის ფაქიზად ეპერობს ტექსტს და ახლბათ დიდი მუშაობა დასატარა, რომ ვასცენურეზიული თხრობა ავტორის ტექსტთან თანხვედრილი ყოფილიყო.

მამა და შვილი ქეიფობენ და ქეიფობენ... ყოველ ღამე, თავთავიან აფსონობთან ერთად, რძალ-დედამთლის გამოაქვით და გამოაქვით ერთი და იგივე მებრე — გამოაკვეთილად მწვადი და შოთი შურენი. სპექტაკლი და ნოველა მსა-ჭამაზე არ არის. უბრალოდ ნამოზრდელი შვილისა და მამის კონფლიქტება. მათი ბედნერების მთავარი საზრდო ღვინოა და ეს არის განხეთქილების მიზეზიც. მწერალმა ქართველთათვის სერიოზული, მაგრამ ზოგადად ოჯახური კონფლიქტის მსუბუქი საბაბი აორჩა — მამა-შვილის „პრობლე“ ღვინოზე. ეს რომ ყოფილიყო მამულები, სახლი, პოსტანი, მამის ნოველა ასეთი კომიკური კი არა, ეს უკვე ტრაგიკული იქნებოდა.

შვილის ურჩობით გაფიცებული მამა (კოტე მგვიია), კონფლიქტს აწმევაებს და იწყება ეს გაუთავებელი დამაძ-

ლება, გასწავლე, ფეხზე დაგაყენე. ენაკეიმატი შვილის პასუხები (ნიკა კვანტალიანი) ლოკურია, ზუსტად და იმდენად რეალური, რომ მაყურებელს ან თავის თავი, ან მეზობელი, ან აბლობელი ან რამე სხვა ნაცნობი ამაზიკა გაასწავნებდა... მაგრამ ბოლოს, მამის ჩინური ნეეთიეთი ჩამახილი, შვილის „უშაბნობობაზე“ სადღურავი, ამსურდის თეატრის იუმორს ემსგავსება:

„ — ვიცო, რა უშადური შვილიცა ბრძანდები, ვიცო, იმასაც რო აიხირებ ვითომც რომ მე არც შემოქმენიარა...“

— შევიქმენიარა.. დღიტრანბახე, ვითომც რომ ოპიზარით მოიგახტვარ და მავივარაყვებოვარ... შე, შე, შე... შემომხედე ერთი რას ვგეგრა, კარგად შეშომხედე...“

მსახიობი ნიკა კვანტალიანი (შვილი) ოთარ ჩხეიძის ტექსტს თითონი ყვება, ოღონდ პირველ პირობ. მსახიობი, მამისა და მაყურებლის თვალში ნელ-ნელა იცვლებოდა: დალბდებოდა, მარცხენა მხარო უკან რჩებოდა, ლპი ნამომბურტყებოდა... მუბლი უბრტყლებდებოდა. მსახიობთა იმპროვიზირებული პარტნიორობით ხედავდით შვილს, მამის თვალის ახელას — უბნო ქვეტუტისტი „ნთუთ აქამდე არ ეთციოდ — ეს რა მახინჯი ყოფილა“. მამა თავზე ხელს იტყობცავს, ეს რა შევექმენო. შვილი გამარჯვებულია — კიდევ ერთხელ დაუმტყვია სიმარტყე კოტე მგვიიასა და ნიკა კვანტალიანის მტუტი მსახიობური იმპროვიზაციის გამოვლინების მშვენიერი სანახაობაა.

სპექტაკლის მსვლელების ერთი საათის მანძილზე ზუსტად გათვლილი ამოცანების იმპროვიზირებული ეპიზოდების კასკადი საერთო მიზარულებაში მიმდინარეობდა. კომიზმის ჰიკ უკვე მამის თეთმკვლელობის მცდელობა იყო. კოტე მგვიია ნივინში, კუნძზე ზის, ოღონდ ქოლკი ხელში და ანდეროს წერს. მაყურებელს ეცინება და ფიქრობს: თუ თავს იკლავს ეს კაცი, მამ ნივინში ქოლკა რაღად უნდა? თითქოს უშინმწველო დეტალით, რეჟისორის ფაქიზად შემოაქვს ომორი. აი, თოქოც გააზნადა... მამა ფებს იორებს, ყვინდება, აი ახლა გამოიხედავინი, აი ახლა და... ეს თამაშოც დამთავრებდებოდა, მაგრამ არაიენ არ იხედება (ეს ნაწილი ნოველსავე არ არის, რეჟისორის ჩამატებული). გაისმის ჩილი ზავშვის პირველი კვილი. მამა უცებ პაპა ვახტა, ცხოვრება შეიცვალა?.. მაგონარ რეჟისორი მამის კოთხვაზე „ბიჭო თუ გოგო“, შვილი პასუხობს: „ბიჭები, ტყულები“. კომედია გრძელდება... და ასე იქნება დაუსრულებლად, სანამ ვიარსებთ მამაკვილობაში...

სპექტაკლი მორკენების დიალოგით მთავრდება:

„დედამთლი — აგერ რას გუებნებოდი, ტყუოდა შვილი... რძალი — არა, ქალი, რას გუებნებოდა, ტყუოდა მამა... დედამთლი — რა ვიცო, რა ვიცო, ყვებდებუნე, ყვებდებუნე თეთიეთიშურადა.“

რძალი — მე კიდენა მგონია, არც ერთი იყო მართალი, არც ერთი იყო მტყუანი.“

ამ თითქოსდა უზრალო დიალოგით, რომელიც მწერლის ფინალურ ტექსტთან აზრის სიმწყობრით ძალიან ახლოს დგას, შეგვიძინებთ ბალბურ სიბრძნეს, რომელიც ფილოსოფიურ განხილადობას ახლენს — ყოველ კაბაში, მამაშვილობაშიც კი, ყველას თავის სიმარტყე აქვს და ასე იქნება მამადა.

ოთარ ჩხეიძე — შე აუტ ვავიხინენე და ასე დაწერე, რომ იცურეთი არ მგონია მართალი და რო არც მტყუანი არ მგონია არცერთი. — არც იმამაზადა, არც ახლა მგონია“.

რა უბრალოა, სადა, მაგრამ როგორი ბლბა და უჩვეულო...

მარი ონეზაშვილი

ანსამბლი

„ტსუ – გორდელა“

საკრავებიანი გოგონათა ფოლკლორული ანსამბლი „ტსუ – გორდელა“ 2007 წელს დააარსა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაზაზე ანსამბლ „ურმულის“ სოლისტმა თამაზ მამალაძემ. იგი რვა სტუდენტი გოგონასგან შედგება. ესენი არიან: სოფო ქირია, ანა გულედანი, თამუნა ალადაშვილი, ქეთი კვიციანი, თვა ქირია, ნატალია ბაბაშვილი, ნინო კაციტაძე და ნათია ხმალაძე.

თითოეული გოგონა განსაკუთრებული ვოკალური მონაცემებით გამოირჩევა და ყველა საკრავზე უკრავს. პროფესიონალი მომღერლები და ფოლკლორისტიები მათ პროფესიონალიზმს განსაკუთრებით აღნიშნავენ.

ანსამბლის ხელმძღვანელის თამაზ მამალაძის თქმით, ანსამბლში თავიდან 13 წევრი იყო, შემდეგ გარკვეული მიზეზების გამო რამდენიმე გამოაკლდა... გოგონები მუსიკალური სასწავლებლებიდან შეკრიბა, სადაც თითოთს ასწავლიდა.

მისი თქმით, ანსამბლის წევრების არჩევისას განსაკუთრებული კრიტერიუმი არ პუნიათ. ყველა გოგონა თავისებურად ნიჭიერი და გამოჩრეული იყო. ანსამბლის ჩამოყალიბების შემდეგ კი თავდადებული ვარჯი დაინახო, რამაც საბოლოოდ „გორდელა“ ამ დონემდე მიყვანა.

„დღეს რასაც ისმენს მსმენლები, ეს ყველაფერი ტიტანური შრომის შედეგად მოვიდა. ძალიან ბევრს ვემუშავოდით, რომ თითოეულს ამა თუ იმ ინსტრუმენტზე ასე დაეკრა და ასე ემღერა. თითქმის ყველა ინსტრუმენტზე უკრავენ“ - აღნიშნა თამაზ მამალაძემ.

მათი სერიოზული დებოუტი 2007 წელს ფესტივალ „არტ-გენზე“ შედგა. შემდგომ უკვე ყველა ფოლკლორული ფესტივალის მონაწილეები იყვნენ. ყველაზე დიდი წარმატება 2010 წელს ისევ „არტ-გენზე“ მოუტანა. მათ ფესტივალთან დასთავაშა შემოიარეს მთელი საქართველო და „არტ-გენის“ ერთკნით ტურშიც სოლო კონცერტი გამართეს. ყველა მათი გამოსვლა მსმენლების განსაკუთრებულ ემო-

ციას და ოვაციას იწვევდა და არ ყოფილა შემთხვევა, მსმენელს „გორდელასთვის“ დამატებით რამდენიმე სიმღერის შესრულება არ ეთხოვა.

ამას მოჰყვა „მეზავრებთან“ ერთად რესპუბლიკის მოედანზე გამართული კონცერტი, სოლო-კონცერტი უნივერსიტეტში, „სხვა კონცერტი“ ფილარმონიაში. ყველაზე დიდ წარმატებად ფილარმონიაში გამართული გამართული კონცერტი მიიჩნევა, რომელიც მოწინავე კონცერტში მონაწილეობას მიიწვევდა, რომელშიც ანსამბლი „ერისონი“, „რუსთავი“ და სხვა ცნობილი ანსამბლები და მომღერლები გამოდიოდნენ. ამ კონცერტზე „გორდელამ“ ნუკრი კუპანაძეთან ერთად იმღერა.

ანსამბლი ამჟამად ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის ერთერთი პროექტის „თქვენი მოუს“ ბენდია.

„გორდელას“ გამორჩეული თავებისმცემელი ვალენტა ქართული ხმების“ სოლისტი დათო არჩვაძე. მისი შეფასებით, ყველაზე მეტად, რაც ამ ანსამბლში მოსწონს, ეს არის გოგონების პროფესიონალიზმი, ახალგაზრდული მუხტი და მუსიკისადმი ასეთი სიყვარული.

„თითოეული მათგანი პროფესიონალია, როგორც ვოკალურად ისე ინსტრუმენტებზე დაკვირვებით. თავისებურად გამოჩრეულები და ძალიან ფექტიურები არიან. თითქმის ყველაწარსაკრავს ფლომენ. ამ ყველაფერს დიდი შრომის შედეგად მიაღწიეს. მათი ხელმძღვანელი თამაზ მამალაძე განსაკუთრებული მუსიკოსი და პედაგოგია. მან უამრავი ნიჭიერი ახალგაზრდა აღზარა, რომლებიც ახლა ძალიან



ნინა რიგვი: ნათია ხმალაძე, ნინო აბულაძე, თვა ქირია, თამუნა ალადაშვილი, უკანა რიგში: სოფო ქირია, ქეთი კვიციანი, ნატალია ბაბაშვილი, ანი გულედანი

წარმატებულები არიან. განსაკუთრებული მადლობა ამ ადამიანს კიდევ ერთხელ, რომ ასეთი საოცარი, ნიჭიერი და პროფესიონალი გოგონებისგან დაკომპლექტებული ანსამბლი შექმნა. მე პირადად „გორდელას“ არცერთი კონცერტი არ გამომიტოვებია. მათი განსაკუთრებული თავისებურებები ვერ და ყოველთვის აღფრთოვანებული ვრჩები, როგორც ცეცხლს ანთებენ სცენაზე და როგორ აყვავებენ მუსიკას. სასიხარულო კიდევ ისაა, რომ ყველა სიმღერა თავისებურად, ახალგაზრდული მუხტით მოაქვთ, რაც კომპლექსურად ძალიან ხიბლავს. მათ კონცერტებზე დარბაზი ახალგაზრდები-თაა საესე და „გორდელას“ თითქმის ყველა სიმღერა ზეპირად იცინა. მისარია ისიც, რომ ეს ანსამბლიც ჩვენი ანსამბლის – „უნივერსიტეტის“ – მსგავსად სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაზაზე დაფუძნდა. მიუხედავად იმისა, რომ ზევნი ადამიანები „ქართული ხმები“ გვქვია, ანსამბლი „უნივერსიტეტის“ დღემდე ახსოვს მსმენელს. დარწმუნებული ვარ, „გორდელას“ უფრო მეტი წარმატება ელის და ქართულ სცენაზე დასახლებული ადრიალი დაიკავებს“ - აღნიშნავს დათო არჩვაძე.



ელენე ამბლობელი

„რომ არ ამოშრეს ხალხში ნალველი“

ლევანდა ისკანდარიისა — პიესაღ

...რომ არ ამოშრეს ხალხში ნალველი ბატონიშვილის ალექსანდრესი“, — ნერდა ტიციანა ტაბიძე თავის გრძელ და არათანაბარ ლექსში, სულაც ამ ერთ სტრიქონად რომ ღირს.

ეს არის ტიციანი...
ვის არის ჩვენი ტრაგიკული ყოფაც — არ ამოშრეს ხალხში ნალველი ალექსანდრე ბატონიშვილისა, ვისი სახელიც სამშობლოს თავისუფლების სიმბოლოდმდე აზიოღულა და საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენასთან გაიგვიხუდა. ამ ყველაფერს ქურნალ ჩვენი მწერლობის* სალონიშ გამართულ წარდგინებაზე გაისხენება როსტომ ჩხეიძე, რადგან სწორედ ალექსანდრე ბატონიშვილის ხატოთა შთაგონებულად მისი პიესა „ლევანდა ისკანდარისა“ (რედაქტორი შაჟა ჯოხაძე), რომელიც ავტორის პირველი ცდაა დამატურგობის თანში. პიესის ქარგად აღებული რეალური ამბავი, რომლის შესახებაც რეალური პერსონაჟები მოგვითხრობენ.

ალექსანდრე ახმეტელს უნდა, რალაც განსაკუთრებულად დადგას — ქაქუცა ჩოლოყაშვილზე ფიქრი არ ასვენებს, ოღონდ ის დროა — 30-იანი წლები — როცა გამოირცხლებულია ეს შეძლოს და ამიტომაც რალაც ისეთი უნდა, ისეთი... პერიოდი — ქართველი ხალხის დაუმორჩილებელი სულისკეთების გამომახატელი — მის შემოქმედებით სტილისავე რომ სრველია. ერთხელ, საუბრისას, პავლე ინგოროყვა თავის მოსაზრებას გაუზიარებს იმის შესახებ, რომ მერანი შთაგონებული ალექსანდრე ბატონიშვილის სახელით. ნიკოლოზ ბარათაშვილზე გამოქყვენებულ მონოგრაფიაში იგი ამას არასად ნერს, უბრალოდ აღნიშნავს: ყოვლად შეუძლებელია ასეთი თავისუფლებისადმი ლტოლვით განმსჭვალული ლექსი შთაგონებინა ილიკო ორბელიანს — გაორებულ პიროვნებასო. ოღონდ აქ წყვედა მსჯელობა, რადგან ის დროა, როცა არ შეიძლება ალექსანდრე ბატონიშვილის სახელის ხსენება, მითუმეტეს მისი გამოყვანა შთამაგონებლად „მერანისა“... და ამ მოსაზრების გაზიარების შემდეგ სანდრო ახმეტელი იღვას იპოვებს — ასე და სწორედ ასე, მერანისებურად უნდა დაწერილიყო პიესა ალექსანდრე ბატონიშვილზე.

ასეთ დროს ჩნდება ასპარეზზე გიორგი შატერაშვილი. 23 წლის ნიჭიერი მწერალი, რომელსაც სანდრო ახმეტელი ამ პერიოდიული პიესის დანერგვის შესთავაზებს.

ის დათანხმდება, მაგრამ... იქერენ, რაკილა ლექსი უძღვნას ქაქუცა ჩოლოყაშვილისათვის. დამოფრულ მიძღვნას მიუძღვეს ამოუსხინა — იქ, „წემოთ“. ვერც თავისმართლება უშველის — ნინციღლები „თ.ჩ.“ თამარ ჩოლოყაშვილს გულისხმობს, ვეტრე ამ ქალსო — ვინ დაიჯერებს, რომ „მერანის“ თავისუფლების წყურვილით გამსჭვალული სტრიქონები მხოლოდ და მხოლოდ სატრფიალო რითმები.

მაღველ დაიჭრენ და დახვრეტენ სანდრო ახმეტელსაც. გადის ხანი და გადასახლებიდან დაბრუნებული გიორგი შატერაშვილი ამ ყველაფერს ოთარ ჩხეიძეს მოუთხრობს.

ასე იკარგებოდა პავლე ინგოროყვას მოსაზრება, რომელიც არ დაინერა;

ამბავი პიესისა, რომელიც ვერ დაიდგა; ბუდი სპექტაკლისა, რომელიც ვერ შედგა.

იკარგებოდა, ქრებოდა... უნდა გადაწყობოდა ეპოქას, მაგრამ რატომ უნდა დაკარგულიყო, თუკი შეიძლება ნახსილებები გამოგვეგლოჯა იმ ეპოქიდან.

ჩვენ ხომ ვიცით, როგორ დაწერდა მას გიორგი შატერაშვილი;

როგორ დადგამდა სანდრო ახმეტელი; და და, დაწერილიყო პიესა შეუქმნილი და დაუდგმელი სპექტაკლის ტრაგედიაზე.

ახლებურად დატრობებულიყო სახელი ალექსანდრე ბატონიშვილისა. მითუმეტეს, რომ იმ დაუწერილი პიესის ტიციელი, პოლიტიკურმა რეჟიმმა რომ შეინარა, დიდი ხნის წინათ განსწრნოდა და ახლა სულ სხვაგვარად გაიარა გულსა და გონებაში, ძალდაუტანებლად წამოტიკტიკებულიყო მოდერნისტული ხანისა და სტილისტიკისათვის ნიშანდობლივი — პიესა პიესაში: ხან ხორცმცემსმული, ხანაც ამაო სწრაფვა.

როსტომ ჩხეიძის თქმით, ასეთია ამბავი, რომელიც საფუძვლად დაედო პიესას „ლევანდა ისკანდარისა“;

სურვილი, რომელმაც ამ ფორმით ათქმევინა ეს სათქმელი;

ერთ-ერთი ნამქუზებული კი საამისოდ იოსებ ჭუმბურიძე ყოფილა... სწორედ მისი იღვა იყო შექმნა ლიტერატურული კომპოზიცია ამ ლევანდის გასაცოცხლებლად. მისთვის მოუძიებია მასალად როსტომ ჩხეიძის... და, შეადგა, შექმნა პიესა, რომლის დაწერაზეც ვეტროს არასოდეს უფიქრა, მოუხდებოდა იმისა, რომ საამისოდ მუდმივად უზიბებდნენ, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც მისი ნიგებების მიხედვით წარმატებით დაიგვა რადიოსპექტაკლები, ქუთაისის სახალხო თეატრმა კი ალექსანდრე ორბელიანი ოპერის სცენაზე გააცოცხლა. თუმცა ამაზე — ცოტა მოგვიანებით, ვერ კი მაია ჯალიაშვილი ხსნის შეკრებას და ამბობს:

— ამ პიესაში გვხვდება უძვირფასესი სახელები: მიხეილ ჯავახიშვილი, სანდრო ახმეტელი, კოტე მარჯანიშვილი, პავლე ინგოროყვა, გიორგი შატერაშვილი, ოთარ ჩხეიძე... ამ პერსონაჟებად შემიღიან ქაქუცა ჩოლოყაშვილი, გიორგი მაზნიშვილი... ეს არის პიესა პიესაში, ამ თვალსაზრისით, ძალიან საინტერესოდ არის თანამედროვეობა და ნარსული ერთმანეთზე გადაჯაჭვულობა.

მიიდა ერთ-ერთი საგულისხმო ეპიზოდი გავიხსენო:



გიორგი შატბერაშვილი ოთარ ჩხეიძეს სთხოვს, დაწეროს პიესა ალექსანდრე ბატონიშვილზე. ოთარ ჩხეიძე უარობს და პირობით, მას სთავაზობს, დაფიქრდეს ამ იდეაზე. ჩვენი ვიცით, რომ ოთარ ჩხეიძეს არ დაუწერია ეს პიესა, მაგრამ დანერგა სხვა პიესები, რომლებშიც ალექსანდრე ბატონიშვილის სული ტრიალებს.

პიესის ამ ეპიზოდში გვხვდება ფრაზა, რომელსაც გიორგი შატბერაშვილი ეუბნება ოთარ ჩხეიძეს, მე კი მინდა ეს სიტყვები როსტომ ჩხეიძეს ვუთხრა:

„გვებ მაინც შენც გეფიქრა, სულსკვეთება უკვე იცი, იდეაც, ზოგადი ქარგაც, სტილისტიკაც... მა, გვებ, გვებ... გვებ შენ დაგვწერა ეს პიესა ალექსანდრე ბატონიშვილზე“.

მითუმეტეს, რომ პირველი ნაბიჯი ასეთი წარმატებულია.

– პიესამ პირველივე ფურცლებიდან მიიქცია ყურადღება პერსონაჟების გამო. მითხრეს, რომ რომელიმე ეპიზოდს უნდა წაშეკითხა, მაგრამ ძალიან გამაჟიკრდა არჩევა. ვიფიქრე, გადავული და რაც შემიძლება, იმას ნაეიკითხა-მეთქი, – ამბობს მსახიობი ზურაბ ცინცქილაძე, იმასაც რომ დასძენს: სიაშინების ვითარებაში ამ პიესის რომელიმე გმირს, ოლონდ რომელს, ჯერ არ ვიცოი.

საბოლოოდ არჩევანს მაინც ერთ-ერთ დრამატულ ეპიზოდზე შეაჩერებს – საუბარზე ლაერენტი ბერიასა და სანდრო ახმეტელს შორის.

...და კითხულობს.

კითხულობს თავისი ხავერდოვანი ხმით, რაღაცნაირი სხვანაირი მუხტი, იმ მკითხველის ექსპრესიით, რომელმაც იცის ქართული სიტყვაც და მისი ფასიც. ...და კიდევ ხსნის მსამეფლისათვის ამ მწვავე დაბლოკს შრეებს, მსახიობის ოსტატობით გვიხატავს პერსონაჟთა ხასიათებს და ხელისფლებზე გვემუბება დრამატული ეპოქაცა და ამ ეპოქაში მცხოვრებ ადამიანთა ტრაგიზმიც. ალბათ ამიტომაც ვიცისიდან მნიშვნელოვან ფრაზებს რომ გაიხსენებს **გია მურდულია**, ამით დაიწყებს:

– ეპოქა პატოისან ადამიანთა სიტყვებში“ – ეს სიტყვები ისე განსხვავდება ფარისეველთა და კონფორმისტთა სიტყვა-ფიქრისაგან, როგორც ფორსმანის ნახატში მის ეპიგონთა ნახატისაგან.

რატომ ჰქვია „მონტაჟი ორ მოქმედებად და ათ სურათად დაწერილი პიესის ტრაგედიაზე“ რატომ „მონტაჟი“? და რა „ტრაგედია“ – იკითხავს ბატონი გია და თავადვე უპასუხებს:

– ეს მონტაჟია იმიტომ, რომ ერთი ითქმება მრავლით – ათივე სურათი თითქოს კალედოსკოპს ქმნის, მაგრამ ეს სიმრავლე ერთი ნიშნით არის აღბეჭდილი – ტრაგიკული ნიშნით. თითქმის ყველა მოქმედი გმირი საკუთარი ცხოვრების ტრაგეიაზე განასახიერებს.

მისი თქმით, ეს არის დიდი ადამიანური სევდა თავისუფლების დაცარგვისა და არარსებობის გამო... და მთელი პიესიდან გამოსჭყვივის აზრი, რომ თავისუფლების შემცველი მარადიულად არაფერია, მაგრამ მისი მოპოვებისა თუ დაბრუნების გზაზე, ერთხანს, თავისუფლება-დაკარგული ადამიანის ბოლო თავშესაფარი ღირსება... და ეს გმირები ქართულ ღრსებებს განასახიერებენ.

ბატონი გია საგანგებოდ გამამხვილებს ყურადღებას სურათზე, ლაერენტი ბერიასა და კოტე მარჯანიშვილის დიალოგს რომ ეთმობა და პარადოქსის საშუალებით ნათელს ხდის საბჭოთა რეჟიმის არსობრივ აბსურდულობას. ყველაზე დასამახსოვრებლად კი მიიჩნევს ახმეტელისა და ბერიას „დეუტს“ (და „დეუტისა“), ახმეტელისეულ „შეთამაშებას სიკვდილთან“, გამორჩეულობის სიხარულიც რომ არის და ტრაგიკულიც.

ეპოქა და მისი იდეოლოგია იხატება ბერიას ფრაზაში – „გლითოტინას თავზარდამცემობა უნდა დარჩეს, მაგრამ პეროიკული სიკვდილის საშუალება უნდა მოყუსპოთ... გმირის ნაცვლად საბეღალატეხილი დამწამავე უნდა შეთვისაზოთ ხალხს“ – რომელსაც ვიცა მურდულია ასე განახოგადებს:

– ყველა მოძალადემ კარგად იცის, რომ იდეა ადამიანის გარეშე მკვდარია, ან შესაძლოა კარიკატურად იქცეს. განმარტებელი ადამიანის დამარცხება ძალიან ხშირად იმდენი დამარცხებასაც იწვევს კარგა ხნით.

ახმეტელის იდეა კი...

ეს არის მერანის, როგორც თავისუფლებისა და ღირსების ეროვნული „მხატვრული მუდმივას“ სახება, რომელიც დროსა და ადამიანებში მოგზაურობს. და ღირსების დროშაც ძირს არასოდეს დაეცემა, რადგან ყოველთვის გამოჩნდება მეორე ადამიანი, რომელიც მას ხელახლა აღმართავს მთელი ერის დასანახავად.

იგი ძალიან სიმბოლურად მიიჩნევის იმას, რომ შარათაშვილის „მერანი“ შესაძლოა ილიკო ორბელიანს კი არა, ალექსანდრე ბატონიშვილს უკავშირდებოდეს, რაც სრულიად ახალი რაკურსით წარმოაჩენს, ახალი შინაარსით ავსებს ლექსს. ეს ახალი პარადიგმის შექმნაც არის იმავდროულად.



როსტომ ჩხეიძე და მაია ჯალაშვილი



და ბოლოს:

– პიესას იწყებს და ამთავრებს ორი კაცის საუბარი – ფრონსმანის ნახატებისა და თარის სვედიანი მელოდის ფონზე...

ეს ორი კაცი გვიჩვენებს, რომ ფიქრი სიცოცხლის განმტკიცება და გააზრება მისი სრულყოფილი ფლობისა და გამაზნავის არსებითი ნიშანია. სამჯერ ორი სიტყვა, „მე ვგრძნობ“, „მე ვფიქრობ“ და „მე ვხედავ“ დიალი დასაწყისია მეოთხე ორი სიტყვისა: „მე ვმოქმედებ“.

მაცა ჯოხაძე:

„აღლეს, როდესაც მთელს მსოფლიოში თეატრი შემოქმედებით თავისუფლების ერთგვარ პოლიგონად იქცა, როცა სპექტაკლი ექსპერიმენტებისა და ტექნიკური პროგრესის მთელი სპექტრია ჩართული (ფოტოგრაფია, სლაიდი, ფილმი, კომპიუტერი, ელექტრონული მუსიკა...), ეს ყველაფერი, თუ დიდი მასშტაბის რეჟისორთან არა ვგაქვს საქმე, ხშირად ეკლექტიკად გვევლინება. სადღაც ქრება გმირებისა და პერსონაჟების ხასიათები, მათი ინდივიდუალობა. უფრო მეტიც – აღარ ჩანს პიესის ავტორის სულისკვეთება, იდეა. აღარ იკვეთება და იკარგება რეჟისორის სათქმელი.“

საქართველო, რა თქმა უნდა, გამომავალი არ არის და პირველ ტაბზე აშკარა კიდევ თეატრალური მოდის ამ ტენდენციას... ამიტომ ხშირ შემთხვევაში სანახაობითმა მხარედ დაჯანსაღებულია, ფიქრი, განცდა, ემოცია. მე ვფიქრობ, რომ ამან წლების მერე გამოიჩინა ნოსტალგია ინტიმისა, რომლითაც ოდითგანვე ხასიათდებოდა თეატრი. ინტიმი სვეცისა და პარტურს შორის, მსახიობებსა და მაყურებლებს შორის.

თქვენ კარგად მოგახსენებთ, საქართველოსათვის, ასეთი პატარა, უძველესი კულტურის მქონე ქვეყნისთვის, თეატრს რა მნიშვნელობაც აქონდა. რელიგიასთან, ხელოვნებასთან და კერძოდ დიდ ლტერატურასთან ერთად თეატრმაც უზარმაზარი როლი შეასრულა სულიერების დაგვიდრების სფეროში. ჩვენი მენტალობისა და ურად დარჩენის საქმეში. სამწუხაროა, რომ თანამედროვე დრამატურგიაში ამ თვალსაზრისით თანდათან დათმო თავისი პოზიციები. ეროვნული ღირებულებების, როგორც მარადიული ღირებულებებთან განუყოფლობის – ცნობიერად თუ არაცნობიერად. მეჩვენება, რომ დათმო თეატრმაც. საყოველთაო გლობალიზაციის თავებრუნდხვევ ტემპში კი ამ თვალსაზრისით ეროვნულ ცნობიერებასა თუ ხელოვნებას არცთუ ისე მცირე საფრთხეები ემუქრებიან. რატომ იყო, რომ ამდენი პიესა დაიდგა ბოლო წლების საქართველოში და მიიქცადა მანქანა „ქაქუცა ჩოლოყაშვილს“ პქონდა ასეთი დიდი წარმატება და სრული ანალოგი. თავისთავად ეს იმას მოწმობს, რომ მითოვნილება, ნოსტალგია განადგავს არა უბრალოდ დადებითი გმირებისა, არამედ ღირსების გრძობისა, იდეალებისა, რომლებიც თვალსა და ხელს შუა გააქრება.

როდესაც გრუმამა თავისი პიესა წასაკითხად მომიცა, განახარდა, ფუშანით ვიგრძენია, რომ მისგან პიესა შემთხვევით არ დაინერგებოდა. რადგანაც ეს ის ღანრია, როცა

შენ კი არ ეძალეები მას, არამედ თვით სათქმელს მოაქვს ეს ფორმა. რისტომ ჩნები, მოგახსენებთ, კარგად იცნობს XIX-XX საუკუნეების პერიოდს. შეუძლია არა მხოლოდ ფრანზ დიონისხოფერის საწინაო ამბეტელისა ან პავლე ინგროვსკის, არამედ ინტონაციაც და ის ნიუანსებიც, რომელიც პიესის დიდ ხიბლს სძენს. ამიტომ ჩვენს თვალში ნაწვეული ცოცხალი გმირები დიხატება. როცა, თქვითა, ბერია და მარჯანიშვილი საუბრობენ და ამბეტელზე ჩამოვარდება სივანე, უფროსი კოლეგა ისეთ დახასიათებას იძლევა უმცროსისას, რომ თვალდახელშეუ ყველა ის სკანდალური მოქმედა-მოქმედა ამ ორი დიდი რეჟისორის, მათი ურთიერთობის ირგვლივ რომ ტრიალებდა.

უცნაურია პოლიტიკური რეჟიმიც, ნებისმიერი ეპოქისა და სახელწოდების... ადამიანური ვნებებისა არ იყოს, რეჟიმიც ცვალებადი და მარადმდინია. მოუხედავად დარჩატიზმისა, ტრავიზმისა, ეს რეჟიმიც ერთგვარ „სასარგებლო“ ფუნქციასაც ასრულებს. ერთგვარ ტესტის ნარმოადგენენ ადამიანური ბუნების გასახსნელად. მოუხედავად ე.წ. თავისუფლებისა, მტკაღ ტრავიკულ დროში გვერებს ცხოვრება, რადგან სწორად თავისუფლების ნების გაგება იქნა ყველაზე მეტად დამახინჯებული და უკუღმართად გამოყენებული. როგორც ვარგავის, ისე შინაგანი ცენზურის, სინდისის ხმის (იგივე ღვთის ხმის) სრული მოშლა. თავისუფლება, როგორც ყველაფრის ნებადართულობა, როგორც ალერაბსნილობა.

და აი, ასეთი „სამიში“ თავისუფლების ეფს, როცა ნამდვილ, მარადიულ ღირებულებებს წარღვნიტ ემუქრება ცრუ მოძღვრებათა, ცრუ იდეალის წინაღობი, კიდევ ერთი მნიშვნელოვანი და მეტად საჭირო მხატვრული ნაწარმოები შეიქმნა რისტომ ჩნების მიერ. არავიგულის აღძრინება რისტომის მიმართებაში, რომ ყველა მისი ახალი ნიგნი თითქოს დროის კონტექსტს ითვალისწინებს, სულზე მისწრებასაკითია. ესეც ღვთის ნებით ხდება, რა თქმა უნდა. მისი სხულებები, მონოგრაფიები, პოეზიოფილი რომანები, ესეები ზუსტად იმ დროს ჩნდება, როცა თითქმის პიკს აღწევს ჩვენი სულიერი და ფიზიკური ცხოვრების ტრიზისი. სწორად ამის გათვალისწინებით, ალბათ ასმავად სასიხარულოა, რომ უკვე პიესის ფანრში სცადა მათ თავისი ძალეები და, ჩემი დრმა რწმენით, წარმატებაც მოახლოვდა. ახლა მთავარია თეატრმაც გაითვალისწინოს მის მიერ დაწერილი პიესების არსებობა, რადგან ჩვენ ვიცით, რა როლი ითამაშა თავის დროს ქართულმა თეატრმა ერის გამოვლივების, ეროვნული ღირებულებების დაცვის საქმეში.

რა უნდა ითქვას დღევანდელ პროცესებზე, როცა გლობალიზაციის თავებრუნდხვევ ტემპში ჩართული საქართველოში ასევე თავებრუნდხვევი ტემპითა და ენერგიით მიმდინარეობს ეროვნული ფიციოლოგიის, ეროვნული მენტალობის სრული მოშლა და განადგობა. სწორედ ხშირ შემთხვევაში ხელოვნურად დაქარებული ამ პროცესების შესაჩერებლად მსგავსი პიესები, დარწმუნებული ვარ, სასიკეთოდ და დახვედით როლს შეასრულებს. ახლა მთავარია ასეთივე სულისკვეთების, ინტერესებისა და გახედულების მატარებელი რეჟისორები გამოჩნდნენ, რომლებიც სხვათა შორის გამოვლივებით „ექებენ“ და „წუნუნებენ“ ეროვნული დრამატურგიის დეფიციტზე“.



ელისო კალანდარიშვილის თქმით კი, პიესის ნაკითხვისას თითქოს ჩვენს თვალწინ გაივლებს მთელი ეპოქა თავისი მნიშვნელოვანი პერსონაჟებით. კიდევ ერთხელ რწმუნდები, რომ ტირანია და დიქტატორა, ნიჭისა და ღირსების ჩამხშობი, თავისუფალი სულისკვეთების წინააღმდეგ მებრძოლი, თითქოს გამარჯვებული და აღზევებული მაინც საბოლოო მარცხისთვისაა განწირული, რადგან ვისაც ებრძვის და ანადგურებს, მას თავისდაუნებურად უკვდავებას ანიჭებს. ამიტომაც პიესის ფინალზე გაამაზებლებს სურადღებას:

— მოუხედავად ტრაგიკული დასასრულისა, პიესის ბოლო სცენა საოცარი აღმაფრენით არის აღსავსე — ჯერ თარის მთქმა გაისმის, სიბნელეა, მაგრამ უცებ მთელი სცენა ატრიალდება. კვლავ ნაომიზარებია ახმეტელისეული დეკორაციები, გაისმის კავკასიური მუსიკა, აწივდება ტყეები, ცუცხელი ინიება და, რაც მთავარია, მსახიობები კვლავ დაფრინავენ მთიდან მთაზე. აქ ალბათ ქაუქუა ჩოლოყაშვილის სული ტრიალებს. ამ საოცარ სანახაობას კი ასევე საოცარი ხილვა აფერვავინებს. სცენაზე გამოდის ნიკოლოზ პარათაშვილი. ჯერ კოჭლობით მოემართება, გაისმის მელდია ზაქარია ფალიაშვილის „დაისიდან“. ცელ-ნელა აპყვება მუსიკის ხმა და თავბრუდამხვევად ცეკვავს მშვენიერ არსებასთან ერთად. თითქოს კოჭლობაც დაეინყებია, თითქოს ისკანდერის სული ჩაგვამია სხეულში. არ ვიცი, ეს ცეკვა „განწირულის სულისკვეთება“ თუ მედის „სამწიფრის“ ვადალახის სიხარული, ერთი რამ კი ცხადია: თავისუფლების წყურვილი დაუკლებელი, მოუთოკავი განცემა, რომელიც ამ პიესის ყველა გმირს აერთიანებს.

ზურაბ კანდელაკი:

— არ მგონია დღეს თეატრში ისეთი განწყობილება იყოს, რომ ამ თემაზე დანერგული პიესით დაინტერესდნენ. საქმე ის არ არის, რეჟისორი დამიჯიურობა თუ არა, აქ საუბარია იმაზე, გვეყვლება თუ არა მაყურებელი. დღეს კი მაყურებელი როგორ სპექტაკლებს მყავს, იცი.

„ლექსი“ და „ისკანდერი“ მხატვრულ-დოკუმენტური ეპირის პიესაა. ევროპაში არის ამ ყაიდის თეატრები — პოლიტიკური თეატრები, სადაც შეიძლება ასეთი პიესების დადგმა. პირადად ჩემთვის ცოტა ძნელი წარმოსადგენია, მსახიობები როგორ ითამაშებენ სანდრო ახმეტელს, პავლე ინგურავას, თათარ მჭედის... რადიოში სხვა საქმეა — იქ ეს მზარე არ ჩანს, წხოვად ხშით ეცნობი პერსონაჟებს და ფანტაზიით ინატება სურათები...

ლიანა ელიავა:

— ეს პიესაც დიდი ინტერესით წაეკითხე, როგორც ყველა ნაწარმოები როსტომ ჩხეიძისა. მე მისგან ვსწავლობ სამშობლოს სიყვარულს და უმარად რამეს ვიკვებ ეროვნული ფესვების შესახებ. მართალია, ფილოლოგი ვარ — ლიტერატურაშიც და ისტორიაშიც ჩახედული — მაგრამ ასე დაბნინი ჩაღრმავებულს ქართულ ძირებს, არ მინახავს. ამიტომ მას ჩემს დიდ მასწავლებლად მივიჩნევ ქართველური სულის გაგებაში.

როცა ბატონი ზურაბი ამ პიესის დადგმის პერსპექტივაში დაექვდა, მაშინვე გამიჩნდა წინააღმდეგობის გრძობა. ცხადია, რადიოში ეს უფრო იოლია, ვიდრე სცენაზე, კინოში კი — ვაკლუბით რთული, მაგრამ სამაგიეროდ შედეგი იქნება კარგი. უზნალოდ, რეჟისორი უნდა იყოს ისეთივე სულიერი წყობის, როგორც როსტომ ჩხეიძეა. მაყურებელს მხოლოდ დიალოგი ვერ მიიზიდავ, მას სანახაობაც სჭირდება, თუმცა სანახაობა მაინცდამაინც ვართობას არ ნიშნავს, ის შეიძლება შემეცნებითიც იყოს, მაგალითად, შესაბამისი ფოტოები და დოკუმენტური კადრები მოიძებნოს არქივები. თუ კარგი კინემატოგრაფისტი მოკლდება ხელს, უმარავი საშუალება და რეჟისორული ხერხი არსებობს იმისათვის, რომ დიდი აზრი რაც შეიძლება იოლად და საინტერესოდ მიიტანიო მაყურებელამდე.

მინდა გისურვოთ, მოიძებნოს ამ პიესის ღირსი რეჟისორი ქართულ სინამდვილეში.

იოსებ ჭუმბურიძე:

— მე კი ასეთი პეისონაჟი არ ვიქნებოდი ამ პიესის ბუდის მიმართ. ფანტაზიორი არ ვარ, და არც რომანტიკოსი მოკუნებე, მაგრამ გულს სიღრმეში რატომღაც მჭვრავს, რომ ასეთი პიესით შეიძლება დაინტერესდეს ისეთი რეჟისორი, როგორცაა რობერტ სტურუა. აჰ, დიალოგების გარდა, ისეთი ჩანათები, რუბრიკები და ხილვები, გასასაღის მისცემდა მის დიდ ფანტაზიას. ასევე მგონია, რომ თუმცა ჩხეიძემაც შეიძლება მოკლებული ხელი.

მინახარ, რომ ერთ-ერთი ნამქმნებელი მეც აღმოვჩინდი ამ პიესის დანერგისა. მართალი ბრძანა ქალბატონმა მამაკა, სათქმელმა არ მოსავლდა როსტომს, სათქმელმა უკარნახა ფორმა და ოთხ დღეში დაინერა პიესა, რომელსაც არც არაფერი უნდა მოუმატო და არც მოაკლო — მას ის სჭირდება თანაეგორო...

მზისონა ნავაზაშვილი:

— ეს ნაწარმოები უპირველესად იმიტომ არის გამარჯვებული, რომ ამ ძალიან გაბედულად არის ნათქვამი ის, რაც ქართული ერის ანუხლებს. დღეს ჩვენს ახალგაზრდაებს არ აქვს ალტერნატივა თეთრისა და შავის გასარჩევად. ამიტომაც მოენატრათ გმირები, ამიტომაც აიტაცეს ქაქუცა ჩოლოყაშვილი, როცა ეს სამქტაკალი დაიდავა.

როსტომ ჩხეიძემ რამდენიმე ეპოქა და თაობა გააერთიანა ამ მარადელი სატკიერის ჩვენგანდ მოსატანად და მგონია, რომ მნიშვნელობა არ აქვს, რა ერქმევა პერსონაჟს სცენაზე — ახმეტელი, ბერიკა, მარჯანიშვილი... — თითოეული მათგანი განზოგადებული სახეა იმ პრობლემებისა, რომლებიც გვაქვს. როგორც განხილული არის როსტომ ჩხეიძე ამ პიესაში, ისეთივე რეჟისორი თუ მოჰკიდებს ხელს, ნებაზე, რა დიდებული სპექტაკლი შედგება.

პაატა ჩხატაძე:

— სწორედ ასე უნდა დაინეროს ასეთი პიესები, არაფერი არ უნდა დავამალით. რაც შეიძლება მეტი უნდა დაინეროს. ჩემი აზრით, ეს ის ადამიანებია, რომლებსაც უნდა შეეცადოს ვიტყვი, მით უკეთესი და დროული იქნება.

ვენერა ანდრონიკაშვილი:

— ასე ხატვრულსად და ცოცხლად ასახვა იმ ყველაფერისა, რაც 30-იან წლებში ხდებოდა, ვერც კი წარმომიდგენია. ამ პიესაში იმდროინდელი შიში და პროტესტია, რომელი პიესა ვიცით, რომლის ყველა პერსონაჟი რეალური პიროვნებაა —



საკუთარი გვარითა და სახელით. ჩემთვის ძალიან საინტერესო იყო ბერიას და სანდრო ახმეტელის დიალოგი, ტიკინა ტახიძისა და პაოლო იაშვილის დამოკიდებულება ორგანიზაციებისადმი. უამრავ მნიშვნელოვან საკითხს წამოიწვეს ეს პიესა. ჩვენ მხოლოდ წაწერებთ ვიციტ ის დრო, ან პირადად ოჯახებში ტრავმადიებით... დიდი უბედურება გადაიტანა ქვეყანამ და მანაც დაიბნა თავისუფლება. აი, ამ ყველაფერს წამოიგვივადგენ ეს პიესა. ამიტომაც კეთილი ინებონ ახალი თაობის რეჟისორებმა და იტვირთონ ეს სიმძიმე, ხომ არსებობს სიმტკიცე ბრუკის თეატრი, ერთი მსახიობის თეატრი, თავისუფალი თეატრი... კოდა, შექმნან დიალოგების თეატრი...

წამოწყვიტო კი ამ ყველაფერსა როსტომ ჩხეიძე იქნება თავისი „მერანისებური“ პიესით.

როსტომ ჩხეიძემ თავის პირველ პიესაში ქართველი ხალხის ერთ-ერთი ყველაზე დიდი გულმტკიცეული სახაბა — ერის ინტელექტუალური ელიტის საუკეთესო წარმომადგენელთა განადგურება ბოლშევიკური რევოლუციის მიერ, როდესაც ულამაზესი, თავისუფალი სულის ადამიანები უმხარბველ სისტემისა და მის მსახურთა მსხვერპლი გახდნენ. ამიტომაც ვახტანგ ზახტაძე კომუნისტური ტერორის წლებზე ისაუბრებს და რამდენიმე ფრაგმენტს გაიხსენებს პოლიტიკური დოსიდან იმ უსასტიკესი ფაქტის შესახებ, ვენესეს რომ ატარებდა და არაერთი დიქტატორის მსგავსად, პოეზიასა და მწერლობის დიდი დამფასებელი, კლასიკური მუსიკის ტრფილი გახლდათ; საბჭოთა რეჟიმისული პოლიტიკის ფონზე წარმოაჩენს ლავრენტ ბერიას პორტრეტს და დროის მსხვერპლთა პროტესტს ბოროტების იმპერიის მიმართ, პიესის პერსონაჟების ბედს იტყობს — ეპოქამ, რომ განსაზღვრა — და აღნიშნავს —

— ფიქრებო, ეს თემა უნდა აიძინეროს, რადგან ყველაზე და ყოველთვის მოსალოდნელია მსგავსი მოვლენების განმეორება, მით უფრო ისეთ ქვეყნებში, სადაც დემოკრატიული ღირებულებანი და მისი საერთაშორისო სტანდარტები ფუტკვემ არის გათვალისწინებული.

